# როგორ შეუძლია ძალადობის მსხვერპლ ქალს კომპენსაციის მიღება



USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

უფლებები საქართველო
Rights Georgia

# კომპენსაციის მიღების უფლება

გენდერული ნიშნით ან ოჯახში ძალადობის ძალადობის **მსხვერპლს კომპენსაციის მიღების უფლება** აქვს იმ შემთხვევაში, **თუ მან მიიღო:**



ჯანმრთელობის დაზიანება



ფსიქოლოგიური ზიანი

## მსხვერპლს აქვს უფლება,

## მოძალადეს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება



თუ მოძალადე
**არ აანაზღაურებს ზიანს**



მსხვერპლს აქვს უფლება,
**კომპენსაცია მოითხოვოს სახელმწიფოსგან**

# კომპენსაციის მიღების ეტაპები

1.

## სისხლის სამართლის საქმის განხილვის დასრულება

აუცილებელია, რომ მსხვერპლის მიმართ დანაშაულის ჩადენა დადასტურებული იყოს სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით;

2.

## სამოქალაქო დავა მოძალადესთან

მსხვერპლმა მოძალადის წინააღმდეგ სასამართლოში უნდა შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით;

3.

## სააღსრულებო წარმოება

თუ სარჩელი საბოლოოდ დაკმაყოფილდა, მაგრამ მოძალადე არ აანაზღაურებს სასამართლოს მიერ დაკისრებულ ზიანს, მსხვერპლმა უნდა მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს;

4.

## სახელმწიფო კომპენსაციის მოთხოვნა

თუ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის მიმართვიდან 6 თვის განმავლობაში მოძალადე კვლავ არ აანაზღაურებს ზიანს ან აანაზღაურებს 40%-ზე ნაკლებს, მსხვერპლს უფლება აქვს კომპენსაციის მისაღებად მიმართოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს.

# სახელმწიფო კომპენსაციის
# გაცემის პრინციპები

სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მაგრამ **არაუმეტეს 10 000 ლარით;**

მსხვერპლს უფლება აქვს, სახელმწიფოსგან მოითხოვოს კომპენსაცია **ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების** კანონიერ ძალაში შესვლიდან **3 წლის განმავლობაში;**

**თუ მოძალადემ აანაზღაურა დაკისრებული თანხის 40% ან მეტი,** სახელმწიფო არ აანაზღაურებს დარჩენილ თანხას.

# სახელმწიფო კომპენსაციის

## გაცემის წესს არეგულირებს

**საქართველოს მთავრობის**

2022 წლის 9 ნოემბრის
№523 დადგენილება

# ძალადობის მსხვერპლთა

## უფასო სამართლებრივი დახმარება

უფლებები საქართველო
Rights Georgia

**577 541 655**